# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 52

"2" სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის სესხის აღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 27 აგვისტოს №04.07.28 და 2014 წლის 2 სექქტემბრის №05.01.29 განკარგულებების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის შევსების მიზნით, 30 024.6 ათასი ლარის ოდენობის სესხის კომერციული ბანკებიდან აღებაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი